ეროვნული ბიბლიოთეკა
1 / 1957
N1-24 len
ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

თავმჯდომარე რომ გადაბრუნდება,

ნახ. გ. ლომიძისა

გზაც მაშინ გამოჩნდებაო

ნიანგი

№ 1 იანვარი. თბილისი. გამოცემის წელი XXXV ფასი 2 მან. 1957

საახალწლო მილოცვა

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ასე ტკბილად დამიზერდით...

ქრისტიან გელერტი

გუგული

(იგავი)

ქალაქიდან მოფრენილი შოშია რომ ნახა,
ეკითხება მას გუგული ამბებს ახალ-ახალს:
— იქ რომელი მგალობელი მოსწონთ უფრო მეტად,
აი, თუნდაც ჩვენს ბულბულზე რას ამბობენ, ნეტავ?
— ყურს უგდებენ გატაცებით მის მომხიბლავ ჰანგებს,
ვისაც ჰკითხავ მთელ ქალაქში, ადიდებს და აქებს.
— ერთი ტოროლაზეც მითხარ?—შეეკითხა ისევ.
— ჰო, იმასაც ბევრი აქებს!—უპასუხა მყისვე.
— ნამგალაზე რაღას იტყვი, ახსენებენ ქებით?
— როგორ არა, გამიგია მოწონების ხმები.
ერთხანს სდუმდა გუგული და ბოლოს მაინც ჰკითხა:
— ჩემზე, ჩემზე რას ამბობენ, ბარემ ესეც მითხარ.—
აქ შოშიამ უხერხულად აიჩეჩა მხრები:
— მაგის პასუხს მე ვერ შევძლებ, რასაც მეკითხები,
მე მგონია, ჩემო კარგო, არ მღალატობს სმენა,
გეფიცები, შენს შესახებ არც დაუძრავთ ენა.
— თუ ჰგონიათ მაგით რამეს დამაკლებენ ვითომ,
შურს ვიძიებ და ჩემ სახელს მე ვიქებ თვითონ.

თარგმანი გერმანულიდან

შ. ამირანაშვილისა

ვინ რა თქვა

ერბომ თქვა—გამყიდველი იპარავდა და მე შიში მადნობდაო.

ბრინჯმა თქვა—გამყიდველი თავს იმართლებდა და მე ბრინჯივით ვიბნეოდიო.

მწვადმა თქვა—მიმტანი ცეცხლის ფასს მადებდა და მე შემკვეთის ცოდვით ვიწვებოდიო.

ღვინომ თქვა—ყველას დანაშაულზე მე მსვამენო.

ლუდმა თქვა—ამდენს ვიქაფები და გამყიდველი დაჯდომას არ მაცლისო.

ქათამმა თქვა—ფერმის გამგედ ვინც არ უნდა დააყენონ, მე და ჩემი კვერცხი მაინც ერთ ტაფაში ვიწვითო.

ხორბალმა თქვა—კალოზე მლეწავენ და საწყობში მანიავებენო.

ცხვარმა თქვა—სადა ხარ, სირცხვილო, ფერმის გამგეს დანაკლისი აქვს და მე თავი მეჭრებაო!

შეადგინეს ხ. აბაიშვილმა და გრ. ჩიქვილაძემ

ახალი ქართული ზღაპრები

ერთმა კაცმა თავისი უფროსი ორჯერ საჯაროდ გააკრიტიკა. ის კაცი დღესაც იქ მუშაობს.

* * *

ერთი კაცი სოფლიდან ჩამოვიდა სტუდენტი შვილის სანახავად. დაავიწყდა, საით იყო გრიბოედოვის ქუჩა. „ვინმე ახალგაზრდას ვკითხავ“, ფიქრობდა რუსთაველის გამზირზე მიმავალი. მაგრამ ვერც ერთ ახალგაზრდას ვერ გაუბედა, რადგან ყველანი საქმიანი გამომეტყველებით სადღაც მიიჩქაროდნენ.

* * *

ხელფასი ავიღე და სახლისაკენ გავეშურე. ტროლეიბუსში ბევრი ხალხი იყო, ძლივს მივაღწიე გასასვლელამდე. რომ ჩამოვედი, ფული ჯიბეში მქონდა.

* * *

ტრამვაის უკანა ბაქანზე ორი ახალგაზრდა იდგა. „შეიძინეთ ბილეთები“ — მიმართა კონდუქტორმა. ახალგაზრდებს არ შეუგინებიათ. ერთმა მათგანმა ფული გაუწოდა კონდუქტორს, „ორი ბილეთი მომეცი“, თქვა და იმწამსვე ყურებამდე გაწითლდა: „მომეცით“ უნდა მეთქვა, გაიფიქრა მან, — უფროსია.

* * *

ჩემს ბავშვს ჩვევად ჰქონდა ნაგავში ხელის ფათური. სადაც ასანთის ღერს, ან პაპიროსის ნამწვს დაინახავდა, უნდა აეკრიფა. მაშინ ხერხი ვიხმარე: მთელი დღე დავატარებდი თბილისის ქუჩებში და, რაკი ვერაფერს პოულობდა, გადაეჩვია.

რ. მამულაშვილი

მეგობრული შარჟი ვ. ფირცხალავასი

დემნა შენგელაიას

(60 წლის შესრულების გამო)

ბევრზე თუ კბილი გილესე
შეუპოვრად და გულადად,
შენ გაქებ იუბილეზე
ნიანგი ნიანგურადა.
შეუსრულდაო სამოცი —
აბა ვინ იტყვის დემნაზე?
შენ განა წლები გამოგცვლის
პროზის პოეტს და ენამზეს?!
არც ოდეს დაიშრიტები
„ბათა-ქექიას“ ავტორი;
გისურვებ, კუს ნაბიჯებით
არ წერო „ირმის ნახტომი“.

— ხოცარია, როგორ გადაურჩა ჩვენი ფერმის გამგე რევიზიას?
— შე ქალო, ბატებმა რომ გადაარჩინეს და ფერმის გამგეს ვერ გადაარჩენენ?!

ეჰ, ვინ მიჯერებს, ვინ მისმენს!..

სოფლის განაპირას ერთ პატარა ოთახშია შეხიზნული სოფელ ბნავისის (გორის რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობა. ამ ოთახში კედლის გასწვრივ დგას მამაპაპისეული გრძელი სკამი, რომლის ერთ თავში თავმჯდომარე ჩამოჯდება ხოლმე, მეორეში—ბუღალტერი. მათ პირდაპირ ერთ კუთხეში მოანგარიშეს მოუკალათებია, მეორეში — ალმრიცხველს. ეულად დარჩენილი დანჯღრეული ტაბურეტი სტუმრისათვისაა განკუთვნილი. 'ბიგ მყოფებს ცუდი დღე უფრო მაშინ ადგათ, როცა წვიმის ან თოვლის ნაჟური წურწურით ჩამოდის და პირდაპირ თავმჯდომარის მაგიდას ეწვეთება. სინესტისა და დროთა ვითარებისაგან დაშლილ ჭერს რომ ახედავ, ადვილად შეატყობ ერთ უცნაურ ტექნიკურ გაუმჯობესებას: ერთ დროს თურმე ბუღალტრის მაგიდას აწვიმდა, მაგრამ მოხერხებულ ფინანსისტს ჭაღალდის ღარით წვიმის წვეთები თავმჯდომარისაკენ მიუშვია: — აჰანდე, ვისი ბრალიცაა, ის დაასველე, მე რას მერჩიო.

ნახ. გ. ფირცხალავახი

ცოდვა გამჟღავნებული სჯობს, ამ შემთხვევაში ჩვენც ბუღალტრის მხარეზე ვართ. რა ექნა? თავმჯდომარე სოლომონ გოლოშვილი ზედმეტად ნაზი კაცია და წვიმის წვეთები მისი გამოფხიზლებისათვის უფრო საჭირო. იფიქრა, იქნებ გამოცოცხლდესო. აბა, რა უნდა თქვა ისეთ თავმჯდომარეზე, რომელიც კოლმეურნეებს ცუდი მასპინძელივით ცალყბად ეპატიჟება სამუშაოზე:

— დღეს „დიდი მუხის ბაღებში" მგონი სიმინდი უნდა იყოს გასათოხნი. ხომ არავინ ინებებთ წასვლას, ჰა?

ან:

— იქ, ფერმაში მომვლელები გვაკლიაო. ვინმეს ხომ არ უნდა—მივიდეს, იმუშაოს?

ასეთი მეთოდის მეოხებით მოხდა ის, რომ შარშანწინ შრომადღეებზე მცირე რამ განაწილდა, შარშან კი იმდენიც ვერა. 86 ჰექტარი ყანიდან მიწამი ჩაყრილი თესლიც ვერ აინაზღაურეს. 40 ჰექტარი სიმინდის ნათესი ისე გაუფუჭდათ, რომ სასილოსედაც ვერ გაძოიყენეს. ვლადიმერ პავლიაშვილის ბრიგადამ სიმინდის ნათესები არ დაამუშავა. მერე იცით როგორ დასაჯეს? უბრალო საყვედურიც არ აკადრა თავმჯდომარემ ითის წაბაძვით ასევე მოიქცნენ ზ. ყულუმბეგაშვილის და ლ. ვალიშვილის ბრიგადები. არც ისინი დაუსჯია ვიწმეს. თოთხმეტი ჰექტარი ვენახი ორი წელიწადია არ გათოხნილა და სარეველამ დაჰფარა. თავმჯდომარე ისეთი კაცია, ბალახსაც კი ფეხს არ დაადგამს. ბალახ-ბულახმა დაჰფარა პირველი და მესამე ბრიგადების ზვრები. ვაზი დაჩიავდა. სამაგიეროდ ნებივრობდნენ და ბალახმოუთიბავ ყანებსა და ვენახებში თავისუფლად დათარეშობდნენ თხები, ცხენები, ინდაურები და ბატები. გულჩვილია თავმჯდომარე, მინდიასავით ებრალება ცხოველები და მცენარეები.

რატომ ხდება ასე, ამხანაგო სოლომონ? რატომ ზომებს არ იღებთ, გამგეობას არ ეკითხებით, პარტიულ ორგანიზაციას არ მიმართავთ?

— ეჰ, ვინ მიჯერებს, ვინ მისმენს!..— კვლავ გაისმის მუდარის კილოთი ნათქვამი სიტყვები:

— მობრძანდით... კეთილინებეთ... თუ შეიძლება... იქ ყანა უნდა იყოს დასამუშავებელი... აქ ფერმა მოუვლელიაო... მანქანა წყალმა წაიღოო... ხვნა-თესვა დაგვიანებულა. . ყველამ უნდა იმუშაოს... — მაგრამ არავინ „მობრძანდება" სამუშაოდ, არავინ ამუშავებს ყანას, არ უვლიან პირუტყვს და უგერგილო თავმჯდომარის მეოხებით უკან მიდის არტელის საქმეები.

დავით ბეგზური

— ამ ახალგაზრდას თითქმის ნახევარი ქალაქი იცნობს, ყველგან ლია მიხთვის კარები.

— ვინ არის ასეთი საინტერესო პიროვნება?

— სპეკულანტი სეროჟა.

ქორწილი ჩვენს სოფელში

მეგობრის დეპეშა მივიღე. ქორწილში გვეპატიჟებოდა.

ცოლის ახირებამ თავისი გაიტანა, პატარძალს ოთხასმანეთიანი საკაბე ვუყიდეთ და მეორე დღეს სოფელ მი ვიყავით.

მასპინძლებმა სიხარულით მიგვიღეს.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა პატარძალი მოიყვანეს.

ლხინი დაიწყო.

თამადამ, წესისამებრ, პირველი სასმისით ნეფე-დედოფალი ადღეგრძელა: უსურვა ხუჭუჭთმიანი ბიჭები და კოლმეურნეობაში დაუზარელი შრომა. უცებ ვიღაც ხელკეტიანმა კარი შემოაღო და უშველებელი კეტი იატაკს დაჰკრა.

ყველა სმენად გადაიქცა.

— პატივცემულო კამპანიავ, — დაიწყო ხელკეტიანმა, — სმენა იყოს და გაგონება! ჩვენმა პატივცემულმა თამადამ ძვირფასი სიტყვა წარმოთქვა (თამადამ მარჯვენა ხელის მსხვილი თითები ულვაშებზე თავმომწონედ გადაისვა). რომ იცოდეთ, რა კარგია, რა უნარიანი ამხანაგია ჩვენი თამადა! ეს ამხანაგი მარტო ამ ბარაქიანი სუფრის ხელმძღვანელი კი არ არის (თამადამ ყელი მოიღერა და მეზობელ სოფლებიდან მოსულ სტუმრებს ამაყად გადახედა). არამედ ჩვენი კოლმეურნეობის ერთგული და პატიოსანი თავმჯდომარეცაა. (თამადამ ქამარი შეისწორა, ხელსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა). ჰოდა, ამიტომ გვიყვარს იგი, ამიტომ უყვარს სოფელს ... აფასებს კიდეც!

თამადა მოულოდნელად წამოხტა, ჯიბეს ხელი იკრა და დასტა ფული გადასცა კეტიანს.

როცა დათვალა, მან კვლავ კეტი დაჰკრა იატაკს და მთელი ძალით წამოიძახა:

— გაუმარჯოს ჩვენს თამადას, რომელმაც ნეფე-დედოფალს ორასი თუმანი გადაულოცა!

უცებ გამაყრუებელი გუგუნი გაისმა — სტუმრებმა გულდად წამოიძახეს: „გაუმარჯოს“!

ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ხელკეტიანმა კიდევ ვიღაც შეაქო და მისგანაც ისეთივე დასტა ფული მიიღო.

ხელკეტიანი სუფრის წევრებს სათითაოდ აქებდა-ადიდებდა, ხოლო უშველებელი სინი ათ-ათთუმნიანებით იფარებოდა. ვისაც ფულის გადახდა არ შეეძლო, სულად საქონელს პირდებოდა ნეფე-დედოფალს.

ხელკეტიანის მისამართით წამოძახილები თანდათან ეზში შედიოდა:

— ხუთი კოდი ხორბალი!

— შვიდი კოდი სიმინდი!

— დეკეული წლინახევრისა!

ირეოდა ხმები და ხელკეტიანი ძლივს იწერდა მათ სახელსა და გვარს.

— სტუმრებო! — ისევ გაისმა ხმა ხელკეტიანისა, — მეგობარი ყველასთვის საყვარელია, უმეგობრო კაცი ხასიათდახავსებულია, ჩვენთან ის ვერ იბოგინებს. მე მინდა ახლა გითხრათ ჩვენთვის ძვირფას მეგობარზე: იგი ჩვენებური არ არის, არც მეზობელ სოფლიდანაა მოსული. ჩვენი ძვირფასი სტუმარი ჩამოვიდა თბილისიდან!

თითქოს ნემსით მიჩხვლიტესო, ისე შევხტი. მივხედი, რომ ჩემზე იყო ლაპარაკი.

— იმ დალოცვილმა შოთამ აკი გვიანდერძა „ხამს მოყვარე — მოყვრისათვისო“, — განაგრძო ხელკეტიანმა. — კამპანიავ! ინჟინერი საამაყო სიტყვაა. ტრაქტორი და კომბაინი ინჟინერმა გამოიგონა, ჩვენი ფერმაც ინჟინერმა ააშენა, ჩვენ წყაროც ინჟინერმა გამოიყვანა. ჰოდ, ჩვენი ნეფის ძმა და მეგობარიც ინჟინერია. მერე რა ინჟინერი!

პირდაღებული შეეყურებდი ორატორს. მიკვირდა, ასე სწრაფად სად პოულობდა სადა, მაგრამ ყველაფრისმთქმელ სიტყვებს.

ამ დროს მეზობელმა მუჯლუგუნი მკრა და ჩურჩულით მითხრა: „სანამ ფულს არ გადასცემ, შენს ქებას არ შეწყვეტსო!“

თავბრუ დამესხა. სამოც თუმანზე ნაკლები არავის გადაუცია, მე კი სამასი ანეთი მაქვს. ვაი სირცხვილო! ამხელა კაცი ისე დავპატარავდი, რომ სუფრას ძლივს ვწვდებოდი.

როგორც იყო ავდექი, ამოვიღე ფული და სულ გადავეცი, თან რაღაც წავიბუტბუტე, ალბათ გავაგებინე, სამასი მანეთიამეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ გაისმა ხელკეტიანის ომახიანი წამოძახილი:

— ჩვენმა ინჟინერმა ას ორმოცდაათი მანეთი მიულოცა ნეფე-დედოფალს! იცოცხლოს და იდღეგრძელოს!

გველნაკბენივით წამოვხტი. უნდა მეთქვა, სტყუი, კარგად დაითვალე, ჩემს შერცხვენას არ შეგარჩენ-მეთქი, მაგრამ ჩემს პირდაპირ მჯდომმა ცოლმა თვალებით მანიშნა — არაფერი თქვაო. სუფრას გადავხედე. ყველა ჩურჩულებს, ალბათ დამცინიან. სკამზე კუნძივით დავეგდე, სიმწრისაგან ცივმა ოფლმა დამასხა და ნესტოები დამებერა.

„იცოცხლოს, იდღეგრძელოს!“

მეორე დღეს, ქალაქს რომ დავბრუნდით, გავიგე, ჩემი ჯიბიდან ცოლს ამოეღო ის ას ორმოცდაათი მანეთი. აი ვინ შემარცხვინა ქორწილში! ცოლი, პირიქით, მე მდებდა ბრალს:

— შემსალაროდან რომ ორი ათასი მანეთი გამოგეტანა, არ შერცხვებოდიო. — სხვებმა კი მითხრეს, იქიდან თავმოკრილი არ წამოხვიდოდი, ჩვენს სოფლელებს (და, სამწუხაროდ, სხვა სოფლელებსაც) ქორწილში სტუმრებისათვის ტყავის აძრობის წესი რომ არა ჰქონდეთო!

ვის დავუჯერო?

ი. ლაცაბიძე



ნახ. ზ. ლეჟავანი

— ვინ არის ეს კაცი?

— გამომგონებელი.

— რა გამოიგონა?

— გამომგონებელი ვარო.

მარკ ტვენის აფორიზმები

ღვთის წყალობით, ამერიკაში სამი ფასდაუდებელი საჩუქარი მოვიპოვეთ: სიტყვის თავისუფლება სინდისის თავისუფლება და კეთილგონიერება. მონაპოვრით სარგებლობისაგან თავს ვიკავებთ უკანასკნელის გამო.

—:—

სენატორი: ადამიანი, რომელიც ვაშინგტონში ადგენს კანონებს დროის იმ შუალედში, როდესაც სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ციხეში არ იმყოფება.

—:—

ხალხის მსახურნი: პიროვნებანი, რომლებიც თანამდებობებზე არჩეული არიან ქრთამების გასანაწილებლად.

—:—

ამომრჩევლის ბიულეტენი: საქონლის ერთადერთი სახე, რომლითაც ვაჭრობა შეიძლება უპატენტოდ.

—:—

სამწუხაროა, როცა მუსიკას ისმენ უსიტყვოდ, მაგრამ უფრო სამწუხაროა, როცა მუსიკას ისმენ უმუსიკოდ.

—:—

ხმაური არაფერს არ ნიშნავს; ხანდახან ქათამი კვერცხის დადების შემდეგ ისეთ კაკანს ასტეხს, თითქო მთელი პლანეტა დაედოს.

—:—

ერთი კაცი მეგობარმა კარგა ლაზათიანად შეახურა და უთხრა: „არა გრცხვენია, 15 წელიწადში ცოლისათვის ერთი სიტყვაც რომ არ გითქვამს, თავს რით გაიმართლებო“. უბედურმა ქმარმა უპასუხა: „არ მინდოდა მისთვის სიტყვა შემეწყვეტინებინაო“.



ნახ. ჯ. ლოლუასი

ვინ იცის გატანა



ვინ არ იცის გატანა

ამოცანები

თბილისში, ერთ-ერთი სახლის კიბის შესაკეთებლად სახელმწიფომ გასცა 800 მანეთი. აქედან სარემონტო კანტორამ კიბის შეკეთებას მოახმარა 150 მანეთი. მოქალაქე ჩამოვარდა უმოაჯირო კიბის 35 მეტრ სიმაღლიდან. ვის შეუკურთხა მან მეორე სართულამდე ფრენის პროცესში?

* * *

ორმა ხულიგანმა თავი გაუტეხა ერთ მოქალაქეს. მოქალაქემ ცხრაჯერ დაიყვირა. რამდენჯერ უნდა დაეყვირა დაზარალებულს, თუ მილიციელი მისგან იმყოფებოდა ოცდაორ ნაბიჯზე?

* * *

ერთ დღეს მაღაზიის დირექტორმა სახლში გაგზავნა 400 კგ ბრინჯი, მაღაზიას კი 3 კგ კლიტე დაადო. რამდენ კგ ბრინჯს მიიღებდა რევიზორი მეორე დღეს?

* * *

მუკუზანი ღირს 19 მანეთი ლიტრიანად.

ვედრო წყალი ღირს ნახევარი კაპიკი.

რა ღირს თბილისის ღვინის სარდაფებში სინდისი?

* * *

ქალიშვილმა დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მოეწყო თბილისის საპარიკმახეროში მოლარედ. რამდენი ათასი მანეთი დაუჯდა იგი სახელმწიფოს, და რამდენი მანეთი დახარჯა მან ამ თანამდებობის მისაღებად?

შეადგინა ქ. კასრაძემ

ნახ. დ. ერისთავისა

— რა არის ხორცშესხმული ოცნება?

— კატლეტი... დამზადებული ჩვენს სასადილოში, რევიზიის დროს.

ნახ. ზ. ლეჟავასი

— წარმოგიდგენიათ; სანთლით ვეძებდი ჯიბის ელექტროფანარს და ვერსად ვიშოვნე!

— სანთელი სადღა იშოვნე?

გეოლოგიური განქორწინება

წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ გარემოებამ მიგიყვანათ სახალხო სასამართლოში. თქვენს წარმოდგენას ისიც დაუმატეთ, რომ აღნიშნული სასამართლოს თავმჯდომარე მეტად გულჩვილი კაცია. მას სულ იმის დარდი აწუხებს, ვინძლო ჩემდამი რწმუნებულ რაიონში ცოლ-ქმარი არ განქორწინდეს, ოჯახის მყუდროება არ დაირღვეს, რათა მოქალაქენი გამრავლდნენ „ვითარცა სარა და აბრაამიო“.

წარმოიდგინეთ? კეთილი. ახლა ჩვენ გვინდა წარმოვიდგინოთ ასეთი სცენაც:

თქვენ, კერძო მოქალაქე, უცოლო კაცი, რომელსაც დაუმსახურებლად შეურაცხყოფა მოგაყენეს, ან წაგართვეს რაიმე, ანდა, ვთქვათ, კუთვნილ ხელფასზე უარი გითხრეს, მიდიხართ განცხადებით, აღნიშნულ სასამართლოში სამართალსა და განჩინებას მოითხოვთ; თავმჯდომარე უმალვე შთამაგონებელი თხოვნის კილოზე მოგმართავთ:

— უნდა მორიგდეთ, ოჯახს ხომ არ დაანგრევთ?

— კი მაგრამ, როგორ მოვრიგდეთ, თუ მოპირდაპირე უარზეა?

— მაინც მორიგდით, შეთანხმებას რა სჯობია!

— რა უნდა სჯობდეს, მაგრამ რა ვქნა, რომ მოპასუხე უარზეა, მორიგება და შეთანხმება არ ხერხდება!

— თქვენი სიტყვა საბოლოოა?

— საბოლოოა, ნამდვილად საბოლოო!

— რა გაეწყობა, წაბრძანდით, — გეუბნებათ თავმჯდომარე,— გადაწყვეტილებას გამოვიტანთ და გამოგიგზავნით!

თქვენ მიდიხართ. დრო გადის და მართლაც ღებულობთ გადაწყვეტილებას და თქვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს; თქვენ რომ „ალთაზე“ ჩიოდით — პასუხი „ბალთაზე“ მოგვიდათ, ხელფასს ითხოვდით — ცოლთან განქორწინებაზე გიპასუხებენ. ვერ გაგიგიათ, რა ცოლი, რის განქორწინება, თქვენ ხომ უცოლო კაცი ხართ, ვისთან გაგაქორწინეს, რატომ, საიდან?

და თქვენ იძულებული ხდებით მიმართოთ პრესას, იკითხოთ, რა უნდა თქვენგან სასამართლოს?

იქნებ სასაცილოდ ჩაგვითვალოს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახ. სასამართლოს თავმჯდომარე კერესელიძეს, ბაგრამ კურიოზი, რომელსაც ჩვენ ვეხებით, სწორედ საწყენია არა მარტო კერესელიძისათვის, არამედ ჩვენთვისაც, რადგან აშკარად ვხედავთ, რომ „შისდამი რწმუნებულ“ უწყებაში „ალთა“ იქცევა „ბალთად“ და ეს კი არ უნდა ხდებოდეს.

მაგალითი:

საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოსთან დავა ჰქონდა გეოლოგიურ პარტიაში მომუშავეთა ჯგუფს. საქმე ეხებოდა აღნიშნული საზოგადოებისაგან კუთვნილ გასამრჯელოს — 1.500 მანეთის ანაზღაურებას. სამუშაოს შემსრულებელთა არა ერთგზის თხოვ-

ნახ. ნ. მალაზონიასი.

— შე დალოცვილო, ცოტაც დაგეცადა, არ იცოდი, რომ ტაქსომოტორულ პარკს საბურავის ჯაჭვები არა ჰქონდა მომარაგებული?!

— კარგი მეურნე ურემს ზამთარში გამართავს, მარხილს კი — ზაფხულში.

ნამ, წერილობითი განცხადებამ არ გასჭრა. დაზარალებულმა მხარემ (ნ. გობეჯიშვილმა) სარჩელი შეიტანა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში. იარა გობეჯიშვილმა, უცადა, ალბათ, დაიღალა კიდეც და, ბოლოს, საცხოვრებელ ადგილს — ქლუხორის რაიონს მიაშურა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს მან სოფელ მზისაში მიიღო „ამომწურავი“ პასუხი:

„ორჯონიკიძის სახელობის სახალხო სასამართლო გიგზავნით აღმასრულებელ ფურცელს საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოსთან 1.500 მანეთის შესახებ. დანართი: აღნიშნული.

სახ. სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. კერესელიძე**“.

„ძლივს!“— აღტაცებით წამოიძახა გობეჯიშვილმა და მღელვარებით გახსნა პაკეტი. თვალები გაუფართოვდა, დაკვირდა და გაოცებით ამოიკითხა შემდეგი გრამატიკული შედეგი:

„განიხილა ღია სამსჯავრო სხდომაზე საქმე ბრალდებისა ც-ძე მარინა ვალერიანის ასულის, მოპასუხე ა-ლი გივი ევგენის-ძესთან განქორწინების შესახებ. დაადგინა: ვინაიდან ვერ მოხდა მხარეთა შერიგება, საქმე ჩაითვალოს დამთავრებულად.

სახ. მოსამართლე **კერესელიძე**.“

მორჩა, გათავდა, გადაწყვეტილება საბოლოოა!

დავანებოთ თავი თუნდაც ქართული მართლწერისათვის სასჯელის გამოტანას, აქ, სამწუხაროდ, ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო გამონაკლისი როდია: ჩვეულებრივ, სასამართლოებში ხომ ასე აწამებენ ქართულ ენას—და, ალბათ, ამბ. კერესელიძეც ვერ გამოვიდა მათი სტილიდან. დავანებოთ თავი ამბ. კერესელიძესაც, ამბობენ, ის კარგი, გულისხმიერი მოსამართლეაო, რაშიც ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ ეს „წვრილმანი“ ფაქტი მაინც ისეთი წვრილმანი როდია, რომ იგი სათქმელად არ ღირდეს! როგორ წარმოიდგინეს ზემოხსენებული კანცელარიის მუშაკებმა, რომ გობეჯიშვილს თავის საქმეზე უფრო მეტად აინტერესებს აზაურაშვილის განქორწინება. ან იქნებ გეოლოგიური განქორწინებაც შემოვიდა მოდაში და ეს ჩვენ არ ვიცით?

უჩინმაჩინი

რედაქტორი—**ვახტანგ ჭელიძე.** სარედაქციო კოლეგია: **აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ხ. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.** ხელ. **კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. **რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49 3-76-69**

გამომც. № 1, ხელმოწ. დასაბ. 12/I-1957 წ. ქაღ. ზომა 70 × 108 1/8, 0, 5 ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5.
შეკვ. № 4. უე 01408. ტირ. 25.000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

— ტელევიზორი, ძია კაცო, რასაც ლაპარაკობენ, იმას დაგვანახვებს.
— ნეტა ჩვენი თავმჯდომარეც მაგას დაემსგავსებოდეს.